სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

- **დავალება არჩევითი პასუხებით (№1-13, 25.1-25.3)**

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **თანმიმდევრობის დადგენა (№14)**

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **შესაბამისობის დადგენა (№15-17)**

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **შეცდომის გასწორება (№18)**

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **შეცდომის გასწორება (№19)**

დავალებაში მოცემულია ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. თქვენი ამოცანაა ტექსტების გაანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ტექსტების შეფასება წინასწარ მოცემული სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. შეფასება ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **დავალება ღია დაბოლოებით (№20, 21, 22, 23, 24, 25.4-25.7)**

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

1. ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპი *<u>არ წარმოადგენს</u>* ლიბერალიზმის დამახასიათებელ ნიშანს?

ა. პიროვნების ინდივიდუალურობისა და ყოველი ადამიანის უნიკალურობის აღიარება

ბ. პიროვნების გონივრულობის აღიარება, რაც გულისხმობს თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საუკეთესოდ წარმართვას

გ. საზოგადოებრივი შეთანხმების პრინციპის აღიარება, რის საფუძველზეც უნდა ხორციელდებოდეს პოლიტიკური მმართველობა

დ. ადამიანის უნივერსალური თავისუფლების აღიარება, რაც მიიღწევა უნივერსალური სოციალური თანასწორობით

2. რომელი *<u>არ არის</u>* ფულის ძირითადი ფუნქცია?

ა. მოგება

ბ. მიმოქცევა

გ. დაგროვება

დ. ღირებულების გაზომვა

3. რა საერთო ნიშანი ახასიათებთ აბრაამისეულ რელიგიებს?

ა. მონოთეიზმი

ბ. დიოფიზიტობა

გ. მონოფიზიტობა

დ. პოლითეიზმი

4. რა ძირითად პრინციპს ეფუძნება უტილიტარისტული მოძღვრება?

ა. სოლიდარობას

ბ. სარგებლიანობას

გ. გენდერულ თანასწორობას

დ. ეკონომიკურ თანასწორობას

5. რომელი მსჯელობაა მართებული საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ?

ა. წარმოადგენს მატერიალური რესურსების გამოყენების მაკონტროლებელ ორგანოს, რომლის უფლებამოსილებას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი

ბ. წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მართვის სამსახურს, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე

გ. წარმოადგენს საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების მონიტორინგის სამსახურს, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე

დ. ანგარიშვალდებულია წელიწადში ორჯერ წარუდგინოს პარლამენტს მოხსენება მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, რაც მას უზღუდავს დამოუკიდებელ საქმიანობას

6. დემოკრატიული არჩევნების პრინციპების გათვალისწინებით, როგორია ამომრჩეველთა ხმის მიცემის პროცედურა, თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება?

ა. ამომრჩეველს უფლება აქვს, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, დამკვირვებლისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა

ბ. ამომრჩეველს უფლება აქვს, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს მხოლოდ უბნის საარჩევნო კომისიის წევრები

გ. ამომრჩეველს არ აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, რადგანაც დემოკრატიული არჩევნების ერთ-ერთი პრინციპია კენჭისყრის პროცესის ფარულობა

დ. ამომრჩეველს უფლება აქვს, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს როგორც სხვა ამომრჩეველი, ასევე უბნის საარჩევნო კომისიის წევრები

7. რომელი სქემატური გამოსახულება ასახავს მართებულად კონფლიქტურ სიტუაციაში ჩართულ მხარეთა საჭიროებების, ინტერესებისა და პოზიციების ურთიერთმიმართებას?

ა.



ბ.



გ.



დ.



8. საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ იცავს:

ა. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს

ბ. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირის უფლებებს

გ. ექსკლუზიურად სექსუალური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს

დ. ყველა ადამიანის უფლებებს, გარდა უმრავლესობაში მყოფი მოქალაქეების უფლებებისა

9. რას გულისხმობს კულტურული რელატივიზმი?

ა. კულტურებს შორის განსხვავებების მოშლას

ბ. საკუთარი კულტურის ნორმებით და ფასეულობებით სხვა კულტურათა შეფასებას

გ. განსხვავებული კულტურული ფენომენების მოაზრებას უნივერსალურ კულტურულ ფასეულობათა კონტექსტში

დ. კულტურული ფენომენების აღქმას თავად იმ კულტურის კონტექსტში, რომელშიც ისინი თავს იჩენს

10. არასრულწლოვანთა დასაქმების შესახებ მსჯელობებიდან რომელი *<u>არ შეესაბამება</u>* საქართველოს შრომის კოდექსს?

ა. აკრძალულია არასრულწლოვანთა დასაქმება სათამაშო ბიზნესსა და ღამის გასართობ დაწესებულებებში

ბ. 16 წლამდე არასრულწლოვანის დასაქმებისთვის საჭიროა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვის თანხმობა

გ. 14 წლამდე არასრულწლოვანთა დასაქმება, მეურვის თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ, კულტურულ სფეროში, ასევე სარეკლამო სამსახურში

დ. მეურვის თანხმობის შემთხვევაში დასაშვებია არასრულწლოვანის დასაქმება ფარმაცევტული ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად

11. რომელი მსჯელობა ასახავს მართებულად სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშან-თვისებას?

ა. გეგმიური ეკონომიკის შენარჩუნება და სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა სოციალურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის სრულად საკუთარ თავზე აღება

ბ. საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნება და მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის გამოყენება

გ. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ სივრცეში მაქსიმალური ჩაურევლობა და მოქალაქეთა მიერ სოციალურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის მთლიანად საკუთარ თავზე აღება

დ. სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ეკონომიკაში დაგეგმვის ელემენტების შეტანა და თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ყველა მოქალაქის სოციალური უზრუნველყოფა

12. დავალებაში მოცემულია ტელე-რადიომაუწყებლობის პრიორიტეტების კვლევის შედეგები. დიაგრამა ასახავს ქართულ ტელესივრცეში არსებული გადაცემების რეიტინგულობასა და დეფიციტურობას:

გადაცემების რეიტინგი	დეფიციტური გადაცემები





რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

ა. გამოკითხულთა 43% იუმორისტულ გადაცემებს რეიტინგულ გადაცემათა შორის ასახელებს, მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობა მათ დეფიციტურად მიიჩნევს

ბ. სპორტულ გადაცემებს ერთ-ერთი დაბალი რეიტინგი აქვს, რაც იწვევს მაღალ მაჩვენებელს დეფიციტური გადაცემების ჩამონათვალში

გ. შემეცნებითი გადაცემები მაღალი რეიტინგით და დაბალი დეფიციტურობით გამოირჩევა სხვა გადაცემებს შორის

დ. გასართობ თოქ-შოუებს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი უყურებს, ამავდროულად გამოკითხულთა 10% ასეთ გადაცემებს დეფიციტურად მიიჩნევს

13. დავალებაში მოცემულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს მიერ 2015 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის ზოგიერთი შედეგი:

- გამოკითხულთა 5% ამართლებს თანამდებობის პირების მხრიდან ღია კონკურსის გარეშე თავიანთი ნათესავების, მეგობრების ან პარტიის წევრების საჯარო სექტორში დასაქმებას. კერძო სექტორში მსგავსი დასაქმება კი 19%-ს მიაჩნია გამართლებულად.
- გამოკითხულთა 68%-ისთვის თანამდებობის პირების მიერ ნათესავების, მეგობრების ან პარტიის წევრების საჯარო სექტორში დასაქმება გაუმართლებელია, კერძო სექტორში კი - რესპონდენტთა 34%-ისთვის.
- ნაწილობრივ გამართლებულად თანამდებობის პირების მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებას საჯარო სექტორის შემთხვევაში მოქალაქეთა 17%, კერძო სექტორის შემთხვევაში კი 25% მიიჩნევს.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ნეპოტიზმი კერძო სექტორში გაუმართლებელია

ბ. გამოკითხულთა უმრავლესობისათვის ნეპოტიზმი საჯარო სექტორში გამართლებულია

გ. გამოკითხულთა მეტი წილი ნეპოტიზმს კერძო სექტორში უფრო დასაშვებად მიიჩნევს, ვიდრე საჯარო სექტორში

დ. ნეპოტიზმს საჯარო სექტორში ნაწილობრივ გამართლებულად გამოკითხულთა უფრო დიდი წილი მიიჩნევს, ვიდრე კერძო სექტორში

14. (1) სქემაზე არათანმიმდევრულად არის მოცემული გაეროს კონვენციები ადამიანის უფლებების შესახებ. დაალაგეთ კონვენციები ქრონოლოგიურად, მათი მიღების თარიღის შესაბამისად:



	2*		

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი

15. (1) შეუსაბამეთ II სვეტში დასახელებული დემოკრატიის მოდელები I სვეტში მოცემულ მათ ძირითად მახასიათებლებს:

I. ძირითადი მახასიათებლები	II. დემოკრატიის მოდელები
ა. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების უზრუნველყოფა და პიროვნების პასუხისმგებლობის აღიარება საკუთარ სოციო-კულტურულ მდგომარეობაზე	1. სახალხო დემოკრატია 2. კლასიკური (ათენური) დემოკრატია 3. ხელშემწყობი დემოკრატია 4. დამცავი დემოკრატია
ბ. პიროვნების უშუალო თანამონაწილეობის ხარისხის გაზრდა საკუთარი თემის ცხოვრებაში, რითაც თითოეულ ინდივიდს ეძლევა შესაძლებლობა მოიპოვოს პოლიტიკური თანასწორობა, აიმაღლოს მოქალაქეობრივი თვითშეგნება	
გ. პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის ძირითადი მიზანი საერთო საკუთრების გზით სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის მიღწევაა	
დ. პირდაპირი სახალხო თვითმმართველობა, რომლის დროსაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებების მიღება ხდება სახალხო კრებაზე	

16. (2) შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული კონკურენციის ფორმები I სვეტში მოცემულ მათ ძირითად მახასიათებლებს:

I. ძირითადი მახასიათებლები	II. კონკურენციის ფორმები
ა. ბაზარზე მრავალი მომხმარებლის მოთხოვნას აკმაყოფილებს რამდენიმე სუბიექტი	1. დისკრიმინაციული მონოპოლია 2. ოლიგოპოლია 3. სრულყოფილი კონკურენცია 4. მონოპოლისტური კონკურენცია 5. მონოპოლია
ბ. ბაზარზე არის მხოლოდ ერთი მწარმოებელი და მრავალი მომხმარებელი	
გ. საწარმოები მომხმარებელს მსგავს, მაგრამ არა იდენტურ პროდუქტებს სთავაზობენ	
დ. მწარმოებლები დიდი რაოდენობის ანალოგიურ პროდუქციას აწარმოებენ	
ე. სხვადასხვა მყიდველისთვის კომპანია აწესებს სხვადასხვა ფასს	

17. (1) რუკა ასახავს მსოფლიოში გენდერული თანასწორობის ხარისხს. ცხრილის I სვეტში მოცემულ ქვეყნებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული გენდერული თანასწორობის ხარისხი:



I. ქვეყანა	II. გენდერული თანასწორობის ხარისხი
ა. რუსეთი	1. ძალიან მაღალი
ბ. ინდოეთი	2. მაღალი
გ. საქართველო	3. საშუალო
დ. ნორვეგია	4. დაბალი
ე. ჩინეთი	5. ძალიან დაბალი

18. (6) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

დისკრიმინაციის პრობლემა

პრინციპი, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდან თანასწორია და თანაბარი უფლებებით სარგებლობს, ადამიანის უფლებათა იდეის ქვაკუთხედია. თანასწორობის იდეა ადამიანური ღირსებიდან გამომდინარეობს და საერთაშორისო თუ ეროვნულ დოკუმენტებშია ასახული.

სხვადასხვა ნიშნით ადამიანის დისკრიმინაციის საკითხს ეხება მრავალი საერთაშორისო აქტი, მათ შორის: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1951 წ.); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული მემორანდუმი (1950 წ.); სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საერთშორისო პაქტი (1966 წ.).

საქართველოს 1995 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით შეზღუდულია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა”.

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

ადამიანის ვალდებულებათა რაიმე შეზღუდვას, სოციალური, რასობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვაგვარ შეხედულებათა მიხედვით, დისკრიმინაცია ეწოდება. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს „სოციალური ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომელსაც შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესუსტება ან სრული უარყოფა”.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციული ზემოქმედებისაგან ადამიანის დაცვაზეა ორიენტირებული.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

19. (6) დავალებაში მოცემულია მოსწავლეების მიერ დაწერილი ორი ტექსტი თემაზე „სახელმწიფოს მოწყობა“. ტექსტები შესაძლოა შეიცავდნენ შეცდომებს. გაეცანით ტექსტებს, გააანალიზეთ მათი შინაარსი და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული კრიტერიუმებით.

<u>I ტექსტი:</u>

სახელწიფოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სხვადასხვა ნიშნით. თუმცა ყველა სახელმწიფოსთვის აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს საკუთარი ტერიტორია. ეს მისი არსებითი ნიშანია. ამ ნიშნით ერთმანეთისგან განასხვავებენ მარტივ და რთულ სახელმწიფოებს. ფედერაციული სახელმწიფოები დაყოფილია მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოებრივ ერთეულებად.

ქვეყნები ასევე განსხვავდებიან მმართველობის ფორმებით. არსებობს მმართველობის ორი ძირითადი ფორმა, ესენია: მონარქია - როცა უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ერთ პირს - მონარქს ეკუთვნის და რესპუბლიკა - როცა სახელმწიფოს მართავენ მოსახლეობის მიერ არჩეული ორგანოები და თანამდებობის პირები. მონარქია ძირითადად ორგვარია, შეუზღუდავი ანუ აბსოლუტური და შეზღუდული ანუ კონსტიტუციური.

მონარქიისაგან განსხვავებით, რესპუბლიკურ მმართველობის ფორმაში სახელმწიფო ხელისუფლება ატარებს კოლეგიალურ ხასიათს და ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, როდესაც სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები ეფუძნებიან ურთიერთგაწონასწორების პრინციპს.

II ტექსტზე გადასვლა *შეფასების სქემაზე გადასვლა*

II ტექსტი:

მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოებს აქვთ, როგორც საერთო, ისე მრავალი განმასხვავებელი ნიშანი. მათ შორისაა სახელმწიფოს მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის საკითხები.

ყველა სახელმწიფოს გააჩნია საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორია. მათგან ზოგიერთი მოწყობილია უნიფიცირებული ფორმით, ანუ უნიტარულია და მის ტერიტორიაზე არსებობენ მხოლოდ მთელი ქვეყნისათვის საერთო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

ქვეყნების მმართველობის ფორმებში აღსანიშნავია მონარქია და რესპუბლიკა. მონარქია კი, თავის მხრივ, იყოფა აბსოლუტურ და კონსტიტუციურ მონარქიად. კონსტიტუციური მონარქია არის ისეთი ტიპის მონარქია, როდესაც მეფეს, იმპერატორს ან შაჰს კონსტიტუცია აქვს მორგებული და ის წარმოადგენს ერთპიროვნულ მმართველს.

მონარქიისაგან განსხვავებით, რესპუბლიკურ მმართველობის ფორმაში სახელმწიფო ხელისუფლება ატარებს კოლეგიალურ ხასიათს და ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, როდესაც სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები ეფუძნებიან ურთიერთგაწონასწორების პრინციპს. ურთიერთკონტროლის მექანიზმები განსაზღვრავენ, როგორია მმართველობის სისტემა: საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო.

I ტექსტზე დაბრუნება

შეფასების სქემაზე გადასვლა

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე ტექსტი შეაფასეთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. დაწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე:

	I. კრიტერიუმები	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	**ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა**	**2**	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>განმარტებული</u> ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა - 1ქულა
B.	**მმართველობის ძირითადი ფორმები**	**2**	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>განმარტებული</u> მმართველობის ძირითადი ფორმა - 1 ქულა
C.	**მმართველობის სისტემა**	**5**	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> მმართველობის სისტემა - 1 ქულა

თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში:

		A	B	C
19.1	I ტექსტის შეფასება			
19.2	II ტექსტის შეფასება			

I ტექსტზე დაბრუნება *II ტექსტზე დაბრუნება*

20. (4) მოცემულია პოლიტიკური იდეოლოგიების, მათი მახასიათებლებისა და კონკრეტული ისტორიული მაგალითების არასრული სქემატური გამოსახულება. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

პოლიტიკური იდეოლოგიები	დამახასიათებელი ნიშნები	ისტორიული მაგალითები
20.1.	რადიკალური ცვლილებების მიუღებლობა და გამოცდილი პოლიტიკური პრაქტიკებით ხელმძღვანელობა	მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური მოღვაწეობა 1980-იან წლებში
ფედერალიზმი	სახელმწიფოს შემადგენელი სუბიექტებისთვის (მიწები, პროვინციები და სხვა) პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვითმმართველობის მინიჭება	20.2.
ნაციონალიზმი	20.3.	თურქული ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბება 1919 წელს და თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადება 1923 წელს
20.4.	ანტიჰუმანურ, რასისტულ და შოვინისტურ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული დიქტატორული და ტოტალიტარული რეჟიმი	იტალიის სამეფოს მიერ ალბანეთის სამეფოს ოკუპირება 1939 წელს

21. (4) რუკაზე ლურჯი და ყვითელი ფერით აღნიშნულია ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



21.1 რომელი საერთაშორისო ორგანიზაციაა მოცემული რუკაზე?

21.2 განმარტეთ, რას უნდა აღნიშნავდეს რუკაზე ყვითელი ფერი?

21.3 დაასახელეთ მოცემული ორგანიზაციის ორი სტრუქტურა, რომლის საქმიანობაშიც მონაწილეობს საქართველო.

22. (5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე. *(დავალება 22.2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც, თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას. *(დავალება 22.3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 22.1)*

22.1 პროექტის მიზანი: *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)*
22.2 <u>პროექტის I ამოცანა:</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)* **<u>პროექტის II ამოცანა:</u>** **ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, როგორც მავნე დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ეფექტური პრევენცია**
<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> 1. მცირე ჯგუფებში მოსწავლეების მიერ ფსიქიკური და ქცევითი დამოკიდებულებების შესახებ ლიტერატურის დამუშავება და პრეზენტაციების მოწყობა; 2. მოსწავლეების მიერ კითხვარის ,,რა ვიცი მავნე ნივთიერებების შესახებ?“ შემუშავება, უფროსკლასელთა და მათი მშობლების გამოკითხვა და შედეგების ანალიზი 3. მოწვეული ფსიქოლოგის/ნარკოლოგის მიერ ლექცია-სემინარის ჩატარება მავნე დამოკიდებულებებისგან გამოწვეული ფსიქო-სომატური და ქცევითი დარღვევების შესახებ არასრულწლოვნებში **22.3 <u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u>** *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)* 1. 2. 3.

23. (4) გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



23.1 როგორ ფიქრობთ, რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

23.2 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რამდენად აქტუალურია აღნიშნული პრობლემა დღევანდელობისათვის.

23.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, თუ როგორ შეიძლება აღნიშნულ პრობლემასთან გამკლავება. მოიყვანეთ მაგალითი.

24. **(5) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

„იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების სხვადასხვაობასაც ამასვე სწამობდნენ. იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვა სარწმუნოება და ერთობის კავშირს საძირკველიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის. მოვა დრო, და გვგონია - დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად.“

ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა”, 1881 წელი

24.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალურობის შესახებ.

24.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად.

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი აზრის მატარებელი)

25. **(8) გაანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:**

წყარო N1

,,კიდევ უფრო მეტად რომ აღმოეფხვრა სპარტელებში ფუფუნებისა და სიმდიდრისაკენ სწრაფვა, ლიკურგემ შემოიღო მესამე, ყველაზე შესანიშნავი წესი. ეს იყო საჯარო სადილობის წესი - სისიტიები. სადილობის ჟამს მოქალაქეებს თავი უნდა მოეყარათ და ეჭამათ კანონით დადგენილი საერთო საჭმელი. მათ აკრძალული ჰქონდათ სახლში სადილობა, მაგიდასთან მიდგმულ ძვირფას სარეცელზე წამოგორება და დახელოვნებულ მზარეულთა ნახელავი ნუგბარი საჭმელების მირთმევა.“

პლუტარქე (56-127), „ლიკურგე“

წყაროებზე გადასვლა: 2; 3;

დავალებებზე გადასვლა: 25.1; 25.2; 25.3; 25.4-25.7

წყარო N2

„სამოქალაქო საზოგადოების ცნება, განსხვავებებს საჭიროებს: განსხვავებას საჯაროსა და კერძოს (პირადს), სახელმწიფოსა და საზოგადოებას, იდეალურსა და რეალურს, შინაგან და გარე სამყაროებს შორის. სამოქალაქო საზოგადოება იმ რწმენის ფაქტს ეფუძნება, რომ ადამიანის ნდობისას, თავად მისდიოს საკუთარ ინტერესებს, ერთგვარი სიმეტრია ყალიბდება პირად და საჯარო სამყაროებს შორის. რწმენას, რომ ჩვენი თავისუფალი ქმედებები საერთო სიკეთეს მოემსახურება.

შენ ვერ მოაწყობ საზოგადოებას, ყველაფერის გარედან თავსმოხვევის საშუალებით, ყველაფრის დათრგუნვით, რაც სპონტანურად იქმნება. ზუსტად ეს მოხდა ოქტომბრის რევოლუციის დროს. სახელმწიფომ გადაწყვიტა ყველაფერში ჩარეულიყო. ეს კი სამოქალაქო საზოგადოების სიკვდილია. ის მოქალაქეებს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს უსჯის, მინიმალურ სიცოცხლეს, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის გარანტირებული, მარგამ რომელიც ვერ იზრდება.“

მერაბ მამარდაშვილი (1930-1990)

წყაროებზე გადასვლა: 1; 3;

დავალებებზე გადასვლა: 25.1; 25.2; 25.3; 25.4-25.7

წყარო N3

„ამ საშუალო ფენისთვის გათვალისწინებულ ბინებში (იგულისხმება ე.წ. კორპუსები) ადამიანთა ბედ-იღბალი წინასწარაა ხოლმე განსაზღვრული აქ შემოსახლებისთანავე. ალბათ, დამეთანხმები, რომ თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, თუ სად და როდის ეწევიან ადამიანები ამა თუ იმ საქმიანობას, რადგან, რასაც კი ისინი აკეთებენ, ჩვეულებრივ ხომ ერთი და იგივეა.“

რობერტ მუზილი, „შაშვი“ (1936)

წყაროებზე გადასვლა: 1; 2;

დავალებებზე გადასვლა: 25.1; 25.2; 25.3; 25.4-25.7

25.1. რომელი იდეოლოგიისთვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი პირველ წყაროში განხილული დამოკიდებულება?

ა. ლიბერალიზმი

ბ. კონსერვატიზმი

გ. სოციალიზმი

დ. ნეოლიბერალიზმი

წყაროებზე დაბრუნება: 1; 2; 3;

დავალებებზე გადასვლა: 25.2; 25.3; 25.4-25.7

25.2. მამარდაშვილის აზრით:

ა. პირადი და საჯარო სივრცეების გამიჯვნა იწვევს ადამიანის გაუცხოებას საზოგადოების მიმართ

ბ. სამოქალაქო საზოგადოება ქმედითი შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც ადამიანს გაცნობიერებული აქვს სხვა ადამიანებთან თანაცხოვრების აუცილებლობა

გ. კერძო და სახელმწიფოებრივი სფეროების გამიჯვნის გარეშე შეუძლებელია მოქალაქეები თავისუფლად მივიჩნიოთ

დ. აბსოლუტური თავისუფლების მდგომარეობას, როცა სახელმწიფოს არ აქვს კონტროლი ადამიანის პირად ცხოვრებაზე, შეიძლება მოჰყვეს არეულობა

წყაროებზე დაბრუნება: 1; 2; 3;

დავალებებზე გადასვლა: 25.1; 25.3; 25.4-25.7

25.3. რობერტ მუზილის აზრით:

ა. ადამიანის საცხოვრებელი გარემო ადამიანის თავისუფლების ერთადერთი გამოხატულებაა

ბ. ადამიანის თავისუფლება საკუთარი ცხოვრების საკუთარი ხედვით მოწყობაში ვლინდება

გ. ადამიანები ყოველთვის ერთმანეთისაგან განსხვავებულად იქცევიან, რაც პრინციპულად არასწორია

დ. ადამიანის თავისუფლება მხოლოდ სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებაში არის შესაძლებელი

წყაროებზე დაბრუნება: 1; 2; 3;

დავალებებზე გადასვლა: 25.1; 25.2; 25.4-25.7

25.4. ტექსტიდან გამომდინარე ახსენით რას უწოდებს მამარდაშვილი „მინიმალურ სიცოცხლეს“ ?

25.5. რას მოიაზრებს მამარდაშვილი, როდესაც ოქტომბრის რევოლუციის აღწერის დროს ამბობს: „სახელმწიფომ გადაწყვიტა ყველაფერში ჩარეულიყო“?

25.6. ახსენით რას ნიშნავს კერძო და საჯარო სივრცის გამიჯვნა. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს აუცილებელი პირობა სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის?

25.7. იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რამდენად არის საქართველოში ადამიანის პირადი სივრცე დაცული.

წყაროებზე დაბრუნება: 1; 2; 3;

დავალებებზე დაბრუნება: 25.1; 25.2; 25.3;